

## ოქმი # 1

### თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

#### სხდომას ესწრებოდნენ:

**სამეცნიერო საბჭოს წევრები:** თ. ქაღიშივილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავ-რელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი).

#### დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2020 წლის სამეცნიერო ანგარიშის განხილვა-შეფასება;
2. ინსტიტუტის დირექტორის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა-შეფასება;
3. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2020 წლის თვითშეფასების კითხვარების განხილვა-შეფასება;
4. სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელთა მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მოსმენა.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქაღიშივილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს წარუდგინა ინსტიტუტის 2020 წლის სამეცნიერო ანგარიში (ანგარიში განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე).

**სამეცნიერო საბჭომ** განიხილა ინსტიტუტის 2020 წლის სამეცნიერო ანგარიში.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის 2020 წლის სამეცნიერო ანგარიში და წარედგინოს იგი თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა მის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (აღნიშნული ანგარიში ოქმს თან ერთვის).

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2020 წლის კითხვარებთან დაკავშირებით. მან დამსწრეებს მოახსენა, რომ წარმოდგენილია ინსტიტუტის 56 მეცნიერის თვითშეფასების კითხვარი.

**სამეცნიერო საბჭომ** განიხილა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2020 წლის თვითშეფასების კითხვარები.

**დაადგინეს** : დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2020 წლის თვითშეფასების კითხვარები და წარედგინოს აღნიშნული კითხვარები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

**მოისმინეს და დადებითად შეაფასეს** სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელთა მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშები.

საბჭოს თავმჯდომარე *თ. ქაღვიძი* თ. ქაღვიძილი

სწავლული *ო. ჯოხაძე* ო. ჯოხაძე



**თსუ ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის  
ნ ი ნ ო ფ ა რ ც ვ ა ნ ი ა ს მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს  
ა ნ გ ა რ ი შ ი**

ა) კონტროლს ვუწევდი ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებას.

ბ) შევიმუშავე და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად და დასამტკიცებლად წარვუდგინე ინსტიტუტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი (ივლისი, 2020 წელი).

გ) განვახორციელე სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ადმინისტრაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა, მხარს ვუჭერდი საკონკურსო პროცესებს (ოქტომბერი-ნოემბერი, 2020 წ.).

დ) ვესწრებოდი და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებში.

ე) მხარს ვუჭერდი სამი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - „ა. რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ (გამოდის 1937 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში), „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ (გამოდის 1994 წლიდან, გამოსცემს DE GRUYTER, 2008 წლიდან აქვს იმფაქტ-ფაქტორი) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (გამოდის 1994 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში) - გამოსაცემად მომზადების პროცესს და დაბეჭდვას.

ვ) ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის ორი საერთაშორისო ჟურნალის („ა. რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ – 174-ე ტომის ## 1, 2 და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ – 79-ე, მე-80 ტომები) უცხოეთის 50-მდე სამეცნიერო დაწესებულებასთან გაგზავნის პროცესს.

ზ) ინსტიტუტში zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩავატარეთ (ვიყავი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) ტრადიციული საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში - QUALITDE-2020 (19-21 დეკემბერი, 2020 წელი, [http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2020/workshop\\_2020.htm](http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2020/workshop_2020.htm)). აღნიშნულ ვორკშოპში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 50-ზე მეტმა წარმომადგენელმა. მოხსენებების გაფართოებული თეზისები გამოვაქვეყნეთ ელექტრონულად (E ISSN 1512-3391).

თ) ხელს ვუწყობდი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას. თუმცა მსოფლიოში შექმნილი პანდემიური მდგომარეობის გამო 2020 წელს შედგა ინსტიტუტის თანამშრომელთა მხოლოდ 3 სამეცნიერო ვიზიტი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში, რომლებიც ფინანსურად მხარდაჭერილი იყო ინსტიტუტის ბიუჯეტიდან.

ი) უზრუნველყავი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება ინსტიტუტის 2020 წლის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.

კ) ვასრულებდი და/ან ვხელმძღვანელობდი თსუ-ს შესაბამისი მართვის ორგანოებიდან მიღებულ სხვადასხვა დავალებებს.

ლ) ვმონაწილეობდი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა შეხვედრებში.



ნინო ფარცვანია  
2021 წლის 18 იანვარი